

წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება

სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“

სს „საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციას“

(გამყიდველები)

და

(მყიდველი)

შორის

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ კაპიტალის 100%-იანი
წილის ნასყიდობის თაობაზე

2019 წელი
ქ. თბილისი

წინამდებარე წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დაიდო 2019 წლის _____ შემდეგ მხარეებს შორის:

ერთის მხრივ, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი: 404391975, ფაქტ. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის ქ. #8, მე-4 სართ.), წარმოდგენილი _____ სახით,

და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი: 206237491, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, #21), წარმოდგენილი _____ სახით,

შემდგომში ერობლივად მოხსენიებულნი როგორც „გამყიდველები“

და

მეორეს მხრივ, _____, შემდგომში „მყიდველი“;

გამყიდველები და მყიდველი ცალ-ცალკე მოიხსენებიან როგორც მხარე, ხოლო ერთობლივად როგორც მხარეები.

პრეამბულა

ვინაიდან, წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადების დღის მდგომარეობით, „გამყიდველები“ საკუთრების უფლებით ფლობენ შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404957338, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. #6-8-10 (იგივე 6-10)) (შემდგომში „საზოგადოება“) კაპიტალის 100%-იან წილს შემდეგი პროპორციულობით:

- სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ – 50.1%;
- სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ – 49.9%;

ვინაიდან, „გამყიდველების“ მიერ 2019 წლის _____ ჩატარებული აუქციონში გამარჯვებულად გამოვლენილ იქნა „მყიდველი“, რომელმაც ზეპირი ვაჭრობის შედეგად დააფიქსირა წილის შეძენის უმაღლესი ფასი – _____ ოდენობით;

ამრიგად, წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ურთიერთვალდებულებების, განცხადებებისა და გარანტიების გათვალისწინებით, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, გააფორმონ ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება, მე-2 მუხლით გათვალისწინებულ წილზე.

2. წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება

- 2.1 წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების საგანია „საზოგადოების“ კაპიტალის 100%-იანი წილის (შემდგომში „წილი“) ნასყიდობა. წილი მოიცავს სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ საკუთრებაში არსებულ 50.1%-იან წილს და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ საკუთრებაში არსებულ 49.9%-იანი წილს.
- 2.2 წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის წილი უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, რაც გულისხმობს, რომ მესამე პირებს არ გააჩნიათ რაიმე უფლებები წილზე.

3. წილის შეძენის ფასი

- 3.1 მყიდველის მიერ წილების შეძენის ფასი (შემდგომში: „შეძენის ფასი“) შეადგენს შემდეგი კომპონენტების ჯამს:
- ა) საკუთრივ „წილის“ ღირებულება, რომელიც ფორმირებული იქნება სააუქციონო ვაჭრობის შედეგად.
 - ბ) „სესხის წინსწრებით დაფარვის თანხა“, აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ შემთხვევებში „აუქციონში“ მონაწილეობის მსურველი პირის მიერ მისი გადახდის სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში.
- 3.2 წილის ღირებულება გადახდილ უნდა იქნეს მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვადების გათვალისწინებით, გამყიდველების საკუთრებაში არსებული წილების პროპორციულად, მათ საბანკო ანგარიშებზე შესაბამისი თანხების ჩარიცხვის გზით.
- 3.3 წილის ღირებულება გადახდილად ჩაითვლება გამყიდველების საბანკო ანგარიშზე თანხის სრულად ჩარიცხვის დღეს.

4. ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობები

4.1 ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველსაყოფად მხარეების მიერ შესრულებულ უნდა იქნეს შემდეგი ვალდებულება:

4.1.1 თუ მყიდველმა განაცხადა თანხმობა სესხის წინსწრებით დაფარვის თანხის გადახდის შესახებ - „მყიდველების“ მიერ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე „შემენის ფასის“ ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღის განმავლობაში;

ან

4.1.2 წინარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 დღის განმავლობაში, მყიდველის მიერ „წილების“ შექმნაზე „ბანკის“ თანხმობის მიღება, აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ „პროექტის ხელშეკრულებებში“ „გამყიდველების“ ჩანაცვლება და „პროექტის ხელშეკრულებებით“ დაკისრებული ვალდებულებებისაგან მათი გათავისუფლება (მათ შორის, შესაბამისი შეთანხმებების ხელმოწერა და ძალაში შესვლა). „გამარჯვებული პირი“ სრულად აგებს პასუხს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე და ათავისუფლებს „გამყიდველებს“ ამ პირობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი პასუხისმგებლობისა და/ან მოთხოვნისაგან; ამასთან:

- „ბანკისგან“ თანხმობის მიღებიდან 20 დღის განმავლობაში „მყიდველების“ მიერ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე „შემენის ფასის“ ჩარიცხვა.

4.2 მყიდველის მიერ მიერ წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ 15 დღის განმავლობაში განხორციელდება ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმება და „წილზე“ საკუთრების უფლების მყიდველსთვის გადაცემის ფაქტის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაცია.

5. ხელშეკრულების მოქმედება

5.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრაციის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

5.2 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისას ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.3 მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, გამყიდველები უფლებამოსილნი არიან მყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მიმართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ და მოითხოვონ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებული უფლების/ვალდებულების გაუქმება.

6. ხარჯები

„მყიდველი“ გაიღებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებასთან და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს

7. უფლების გადაცემა

არცერთი „მხარე“ არ არის უფლებამოსილი მესამე პირს დაუთმოს წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები.

8. ცვლილებები, უფლებაზე უარის თქმა

წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული უფლებების ან დებულების არცერთ ცვლილებას, დამატებას, მოდიფიცირებას, ან უფლებაზე უარის თქმას ძალა არ აქვს „მხარეებისათვის“ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ყველა მხარის მიერ წერილობითი ფორმით არის დადებული და მათი ხელმოწერებით დადასტურებული.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 9.1 მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების ბრალეულად დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ასეთი მოქმედებით მიყენებული ზიანი.
- 9.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაუცველობის შემთხვევაში, „გამყიდველები“ უფლებამოსილი იქნებიან წერილობით მიმართონ მყიდველს და მას ვალდებულებების შესასრულებლად განუსაზღვრონ დამატებითი გონივრული ვადა. ამავდროულად, ნაკისრი საგადამხდელო ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა არ უნდა იყოს გადაუხდელი თანხის 0.2%-ზე ნაკლები ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე. ამავდროულად, „გამყიდველები“ უფლებამოსილი არიან „წილის“ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფის გარანტიის გამცემ ორგანიზაციას მოსთხოვონ გარანტიის სრული თანხის „გამყიდველების“ საბანკო ანგარიშზე უპირობოდ ჩარიცხვა.
- 9.3 მყიდველის მიერ წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საამისოდ განსაზღვრულ ვადებში შეუსრულებლობა გამოიწვევს მყიდველის მიერ „წილის“ შესყიდვის უფლების დაკარგვას, წინარე ხელშეკრულების მოშლას, „წილის“ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფის გარანტიის სრული თანხის „გამყიდველების“ სასარგებლოდ გადარიცხვას და წინარე ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სხვა ღონისძიებების გამოყენებას.

10. დავათა გადაწყვეტა და მოქმედი სამართალი

- 10.1 წინამდებარე “ხელშეკრულება” რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 10.2 “ხელშეკრულების“ „მხარეები“ შეეცდებიან მორიგების გზით გადაწყვიტონ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გზით დავის მოწესრიგება არ მოხერხდა, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ეგზემპლარები

წინამდებარე “ხელშეკრულება” გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან მხარეებს გადაეცემათ თითო ეგზემპლარი ხოლო ერთი წარედგინება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“.

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

--	--